7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში.

7.2 ანაზღაურება მოხდება შემდეგი წესით:

7.2.1. ინტერნეტ-მოდემის ქსელში ჩართვის ღირებულება ანაზღაურდება ნაღდი/უნაღდო ანგარიშწორებით.

7.2.2. გადასახადის გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც წინასწარი გადახდის ბარათების მეშვეობით, ასევე უნაღდო ანგარისწორებით მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

7.3 ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს :

8.1.1 შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

8.1.2 რაიმე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, აცნობოს და მოთხოვოს მიმწოდებელს ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსწორება.

8.1.3 მოითხოვოს მიმწოდებელისგან ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1 განახორციელოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

8.2.2 გადაიხადოს ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი 30(ოცდაათი) ლარის ოდენობით.

8.2.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

8.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.3.1 მოთხოვოს შემსყიდველს დამზადებული პროდუქციის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

8.4.1 უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულება.

8.4.2 შემსყიდველის მიერ წინასწარ ყოველთვიური სააბონენტო გადასახადის (30 ლარი) გადახდის შემთხვევაში გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

8.4.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში არსებული შეფერხების შესახებ აცნობოს შემსყიდველს.

8.4.4 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში რაიმე ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში, უზრუნველყოს მისი გამოსწორება დაუყოვნებლივ, შესაბამისი შეტყობინების (ზეპირი/წერილობითი) მიღების შემდეგ.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.